ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4649069

ნომერი: AR1702691

თარიღი : 22.08.2019

გაცემის თარიღი : 27.08.2019

გაცნობის თარიღი : 29.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირ ალლაჰ დად პ/ნ 01891004391
- თბილისი სამტრედიის ქ. N 50 ბლოკი ბ ბ. 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებული უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებზე. თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს იივუ სეილბრიჯ იმპორტ ენდ ექსპორტ ქო, საჭიროა მხარეებს შორის დადებული 08.05.2019 წლის იჯარის ხელშეკრულება დარეგისტრირდეს რეესტრში და შესაბამისი ცვლილება აისახოს ამონაწერში, ვინაიდან დადებულია ერთ წელზე მეტი ვადით,საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხება სხვის სარგებლობაში არსებულ ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათი თანხმობები სათანადო წესით დამოწმებული, ზოგიერთ სარგებლობას ვადა აქვს გასული მათ შემთხვევაში ასევე შესაძლებელია განახლდეს ამონაწერი და სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს (იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით მათ სარგებლობაში არსებულ ფართებს და არ გსურთ თანხმობის წარმოდგენა). თუ არ ეხება განიმარტოს.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.